საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №88

ქ. ბათუმი 6 სექტემბერი, 2017 წ.

2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების მიღების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „2017-2018 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებსა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის N359 დადგენილების, ,,2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N135/ნ ბრძანების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს თანდართული „2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების მიღების წესი“ (დანართი 1).

2. ეთხოვოს რექტორს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეათანხმოს ბსუ-ს ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე/სპეციალობებზე 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტების სწავლის პროგრამული დაფინანსების (**1,035,000 ლარის ფარგლებში**) მიღებისათვის **სულ 460 ადგილი, ბსუ-ს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის:**

1.1. დაწყებითი განათლება - 90 ადგილი;
1.2. ეკონომიკა - 45 ადგილი;
1.3. მშენებლობა - 50 ადგილი;
1.4. აგრონომია - 50 ადგილი;
1.5. ქართული ფილოლოგია - 100 ადგილი;
1.6. ისტორია - 60 ადგილი;
1.7. ბიოლოგია - 30 ადგილი;

1.8. ქიმია - 10 ადგილი;
1.9. ფიზიკა - 5 ადგილი;
1.10. მათემატიკა - 20 ადგილი;

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან შესაბამისი კორესპონდენციის (თანხმობის) მიღების შემდეგ გამოიცეს ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტი.

3. პროგრამული დაფინანსების მიღების მიზნით, ბსუ-ს ფაკულტეტების ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ამ დადგენილების თანდართული წესის **(დანართი 1)** შესაბამისად დასაფინანსებელ სტუდენტთა შერჩევა, რომლის საფუძველზე გამოიცეს რექტორის სამართლებრივი აქტი.

4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1.

2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების მიღების წესი

1. წინამდებარე წესი ადგენს 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბსუ-ს მიერ დასაფინანსებლად შერჩეული ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე/სპეციალობებზე ჩარიცხული პირების (შემდეგში ,,სტუდენტების“) ბსუ-ში სწავლის სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების (შემდეგში ,,დაფინანსება“) მიღების პროცედურებს.

2. სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების ფარგლებში გაცემული დაფინანსება უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი სასწავლო წლის განმავლობაში საშუალოდ 60 კრედიტის (მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტის) ათვისებას არაუმეტეს 4 წლის განმავლობაში.

3. ამ წესით გათვალისწინებული დაფინანსება შესაძლებელი მიიღოს ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაფინანსებლად განსაზღვრული ადგილების რაოდენობის ფარგლებში ჩარიცხულმა საქართველოს მოქალაქემ, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე ან უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებმა.

4. დასაფინანსებელი სტუდენტების შერჩევისას გაითვალისწინება ერთიანი ეროვნული გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში გათვალისწინებულ სტუდენტთა საკონკურსო ქულები.

5. თუ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა აღემატება ამ წესის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დაფინანსების უფლებას მიიღებენ სტუდენტები, რომელთა საკონკურსო ქულა ერთიანი ეროვნული გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის მიხედვით აღემატება ბაკალავრიატის ამავე საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სხვა სტუდენტების შედეგებს.

6. თუ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ რამდენიმე სტუდენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოპოვებული აქვს თანაბარი საკონკურსო ქულა და მათი დაფინანსების შემთხვევაში დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ წესის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლო ადგილზე დასაფინანსებელ სტუდენტს შეარჩევს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.

7. თუ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აქვს სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, მისი სწავლის საფასური შეივსება ბსუ-ს მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის ოდენობამდე, მაგრამ არაუმეტეს 2250 ლარისა.

6. 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად სტუდენტის მიერ ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვებისა და მისი პროგრამული დაფინანსების შემთხვევაში, სტუდენტს არ მოეთხოვება მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის სრულად შევსებამდე დარჩენილი თანხის გადახდა.

7. პროგრამული დაფინანსება შეიძლება გაიცეს საქართველოს მოქალაქე, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე ან უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე იმ სტუდენტების სწავლის დასაფინანსებლად, რომლებიც ამ წესის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე აღიდგენენ სტუდენტის სტატუსს ან ჩაირიცხებიან მობილობის/შიდა მობილობის საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სრულად არ შეივსება ბსუ-ს მიერ დასაფინანსებლად განსაზღვრული ადგილების რაოდენობა. თუ ამ წესით ჩარიცხულ პირთა რაოდენობა აღემატება დასაფინანსებელი ადგილების რაოდენობას, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასაფინანსებელი სტუდენტების გამოსავლენად ბსუ ვალდებულია ჩაუტაროს მათ შიდა გამოცდა, ბსუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად. ამ სტუდენტების პროგრამული დაფინანსების ვადა განისაზღვრება პროგრამული დაფინანსების ხანგრძლივობიდან დარჩენილი ვადით.

8. პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დაფინანსებული პირი განმეორებით ვერ დაფინანსდება პროგრამულად, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბაკალავრიატის იმავე ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე მისი ჩარიცხვის შემთხვევაში.

9. პროგრამული დაფინანსების ფარგლებში ვერ დაფინანსდება სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის მქონე სტუდენტი.

10. პროგრამული დაფინანსების ფარგლებში ვერ დაფინანსდება სტუდენტები, რომლებსაც შესაბამისი სასწავლო წლის პირველი ნოემბრის (შემოდგომის სემესტრში) და პირველი აპრილისათვის (გაზაფხულის სემესტრში) შეჩერებული ექნებათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

11. დაუშვებელია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების სწავლის დაფინანსება, რაც არ ზღუდავს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლებას სწავლა გააგრძელოს (ჩაირიცხოს) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ასეთი სტუდენტების უმაღლესი განათლების დაფინანსება განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დაუშვებელია პროგრამული დაფინანსების ფარგლებში სტუდენტისათვის გამოყოფილი დაფინანსების გადატანა.

13. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროგრამული დაფინანსების ფარგლებში ბსუ-ს სახაზინო ანგარიშზე პირველი ნოემბრის და პირველი აპრილისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის (შემდგომში – რეესტრი) მონაცემების შესაბამისად დაფინანსების თანხის ჩარიცხვისათვის ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დასაფინანსებელი სტუდენტების შესახებ ინფორმაციის შეტანა.

14. ბსუ-ს მიერ რეესტრში სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შეუტანლობის გამო ბსუ-სთვის პროგრამული დაფინანსების შემცირებისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბსუ-ს სტუდენტს არ მოეთხოვება ბსუ-ში ჩაურიცხავი პროგრამული დაფინანსების შესაბამისი სწავლის საფასურის გადახდა.

15. წინამდებარე წესის აღსრულების მიზნით ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტი ვალდებულია:

ა) განუმარტოს ამ წესის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ადგილებზე ჩარიცხულ კანდიდატებს (დაფინანსების სავარაუდო მიმღებ პირებს) ,,2017-2018 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 17 აგვისტოს N135/ნ ბრძანების შესაბამისად შემუშავებული წინამდებარე წესი და საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტები სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტისა და მობილობის/შიდა მობილობის შესახებ;

ბ) არაუგვიანეს 6 ოქტომბრისა (შემოდგომის სემესტრში)/5 მარტისა (გაზაფხულის სემესტრში) წარუდგინონ ბსუ-ს რექტორს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული და სტუდენტის სტატუსის აღდგენის წესითა და მობილობით/შიდა მობილობით ჩარიცხული პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დასაფინანსებელ სტუდენტთა სია, რომლის საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება.

16. დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტების შესახებ საუნივერსიტეტო ინფორმაცია, ფაკულტეტებიდან მოწოდებული მასალის დამუშავების შემდეგ გაიგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) არაუგვიანეს 10 ოქტომბრისა (შემოდგომის სემესტრში)/10 მარტისა (გაზაფხულის სემესტრში).